

"ნაციონალური მოძრაობა" ცდილობს თავისი დანაშაული "ქართულ ოცნებას" გადააბრადოს



პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის ბიძინა ივანიშვილის აზრით, „ექვსი წერიწადი აღმონდა ძადიან ცოტა იმისთვის, რომ საქართველოში პოლიტიკური სიტუაცია პრინციპულად შეცვდილიყო“.

როგორც ივანიშვილიმა აღნიშნა, „ნაციონალური მოძრაობა“ ისევ ცდილობს ვირტუალურ სამყაროში აცხოვროს საზოგადოება.

„დღეს პირველი ოქტომბერია. მოგეხსენებათ, პირველი ოქტომბერს ყველაზე რთული გამარჯვება მოიპოვა ჩვენმა გუნდმა ექვსი წლის წინ. შევიკრიბეთ იმ მიზნით, რომ გავიხსენოთ და დღევანდელი რეალობა კიდევ ერთხელ შევაფასოთ.“

სამწუხაროდ, ექვსი წერიწადი აღმონდა ძადიან ცოტა იმისთვის, რომ საქართველოში პოლიტიკური სიტუაცია პრინციპულად შეცვდილიყო. თუმცა, აბსოლუტური უმრავლესობა თქვენგან მონაწილეები ხართ და თუ არ მონაწილეობდით, კარგად გახსოვთ, რაც ხდებოდა 2012 წლამდე. 2012 წლის შემდგომ როგორ თანმიმდევრულად ვცვდით ჩვენ იმ სიმახინჯეებს და ქვეყანა ვითარდება და მიგვყავს სწორი მიმართულებით, მიუხედავად ამისა, როგორი საოცარიც არ უნდა იყოს, დღეს ის ძადები, რომლებიც თავის დროზე მართავდნენ ქვეყანას ჩვენდა სასირცხვილოდ, ცდილობენ ისევ ვირტუალურ სამყაროში აცხოვრონ ჩვენი საზოგადოება.

რაც დააშავეს თვითონ, ცდილობენ გადააბრადონ „ქართულ ოცნებას“ და

„ქართული ოცნებისგან“ მხარდაჭერილ საპრეზიდენტო კანდიდატს სარომე ბურაბიშვილს“, – განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა მმართველ გუნდთან შეხვედრაზე.

ყოფილი პრემიერმა გაიხსენა „ნაციონალური მოძრაობის“ წევრთა ქმედებები აგვისტოს ომის დროს – თუ როგორ მიატოვეს დახოცილი ჯარისკაცები, უპატრონოდ დატოვეს ტყეში ჯარი და ა.შ.

„ნაციონალურ მოძრაობას“ ძალიან ბევრი დანაშაული ჰქონდა, მაგრამ თუ შევაჯამებთ და შევადარებთ ერთმანეთს, ადრევე დიდი დანაშაული იყო მათი პოზიცია 2008 წლის ომში. გახსოვთ, როგორ იქცეოდნენ, როგორ მიატოვეს დახოცილი ჯარისკაცები, უპატრონოდ დატოვეს ტყეში ცოცხალი ჯარი, სწორედ ეს თემა აქვთ წინა პლანზე წამოწეული.

ყველაზე დიდი დანაშაული, რაც ჩაიდინეს, ცდილობენ დღეს გადმოიტანონ და დააბრადონ საპრეზიდენტო კანდიდატ სარომე ბურაბიშვილს, რომელიც თავისი მოღვაწეობის პროცესში ძალიან ბევრი იზრუნა, რომ რუსურ ჯარს დაეტოვებინა საქართველოს ტერიტორიები.

მახსოვს, თქვენც კარგად გახსოვთ ადრევე, როგორ პრინციპულობით გამოიჩინოდა სარომე ბურაბიშვილი საგარეო მინისტრის რანგში, როგორ თანმიმდევრულად და ოსტატურად მოახერხა მან, რომ რუსურ ჯარებს ტერიტორიები დავატოვებინეთ. ამის შემდგომ, სააკაშვილი პირდაპირი მნიშვნელობით, ჩემს გამონათქვამებში მაქვს ეს, როცა ოპოზიციაში ვიყავი, შემოუძღვა რუსურ ჯარს და დღეს საქართველოს ტერიტორიების 20% არის ოკუპირებული, - განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.